



პრესრელიზი

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჩინეთის უმსხვილესი კომპანიის პარტნიორი გახდა



საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის დელეგაცია ნახშირის წარმოების ჩინური გიგანტის Shanxi Coking Coal Group (SCCG) ის მიწვევით ჩინეთში იმყოფებოდა, სადაც მასპინძლების ორგანიზებით შეხვედრები გაიმართა SCCG ის შვილობილ კომპანიებში, რომლებიც თავის მხრივ, ნახშირის ინდუსტრიის სრულ ციკლს მოიცავს.




საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის წარმომადგენლები ესტუმრნენ შახტას „პანგპანდტა“, სადაც 5 მილიონ ტონამდე ნახშირი მოიპოვება ყოველწიურად. ასევე, კომპანიის წევრები გაეცნენ კოქსის, ნახშირის ფენის მეთანისა და შახტის მეთანის წარმოების ტექნოლოგიებს,

ესტუმრნენ ავტომექანიკურ ქარხანას, სადაც ნახშირის მოპოვების მექანიზებული დანადგარების წარმოება-შეკეთება მიმდინარეობს. ქართულმა დელეგაციამ დაათვალიერა გიგანტური 3200 მეგავატიანი გუჯიას ნახშირის თბოელექტროსადგური, რომელიც იქვე



პრესრელიზი

არსებულ ნახშირის გამადიდრებელ ფაბრიკასთან და გუიჯიას შახტებთან ერთად ჩინეთის ნახშირზე მომუშავე ყველაზე დიდ კონგლომერატს ქმნის ვიზიტის დასასრულს, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის წარმომადგენლები მიიღო Shanxi Coking Coal Group ის თავმჯდომარემ ბატონმა ვუ ჰუატაიმ და გენერალურმა მენეჯერმა, ჩინეთის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსმა, ბატონმა ჟინ შისინმა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმ ახალ შესაძლებლობებს, რაც ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ გააჩინა, ასევე, კომპანიების ერთობლივი გეგმების ჩამოყალიბებისთვის გადამწყვეტია ჩინეთისა და საქართველოს, როგორც აბრუმუმის გზის პროექტის მონაწილე ქვეყნების პარტნიორობა. ამ შესაძლებლობების რეალიზების მიზნით, მხარეები შეთანხმდნენ მრავალმხრივ და გრძელვადიან თანამშრომლობაზე, რომელიც საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ტყიბულის ნახშირის საბადოს ათვისების ახალ პროექტებში ჩინური კონგლომერატის ტექნოლოგიურ პარტნიორად ჩართვას გულისხმობს.



კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

